პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-გშაველას გამზირთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ფრიდონ თოდუას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ვაჟა-გშაველას გამზირთან არსებულ უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ფრიდონ თოდუას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ფრიდონ თოდუას ქ.
I შეს.
ფრიდონ თოდუას ქ.
ვაჟა-ფშაველას გამზირის I
ვაჟა-ფშაველას გამზირის I
ვაჟა-ფშაველას გამზირის I
ვაჟა-ფშაველას გამზირი
ვაჟა-ფშაველას გამზირი
ვაჟა-ფშაველას გამზირი
ვაჟა-ფშაველას გამზირი
შალვა ნუცუბიძეს ქუჩა
95
93
91
89
87
85
83
81
79
77ბ
60ა
60
58ბ
60გ
56
56გ
24ა
64
10
16
18
9
12
25
14ა
19
19ა
19ბ
8
49
13
26
20
13ა
7
45
51
5
4ა
2
3
51ა
4
52
47ა
54
58
60
64
51ა
49ა



ფრიდონ თოდუა

(1944 _ 2017)

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი, თბილისის რადიოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი 1968 წელს.

1968-1990წწ. იყო მოსკოვის ა. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი; უმცროსი და უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი; 1991 წლიდან დააარსა და ხელმძღვანელობს კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტს; 1998 წლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეზიდენტურის სასწავლო პროგრამის დირექტორი სამედიცინო რადიოლოგიის სპეციალობაში; ხელმძღვანელობდა სამედიცინო აკადემიის რადიოლოგიის კათედრას ენდოსკოპიის კურსით; 1999 წლიდან ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიაგნოსტიკური მედიცინის დეპარტამენტს; 2002 წლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი რადიოლოგი. 600 სამეცნიერო ნაშრომის, 8 მონოგრაფიისა და 15 გამოგონების ავტორი. მიღებული აქვს: ალექსანდრე ვიშნევსკის სახელობის პრემია, ევროპის „ღირსების ორდენი“, მალტის ორდენი, ბელგიის სამეფო კარის შევალიეს წოდება, ა. შვაიცერის სახელობის მედალი , აშშ-ის ბიოგრაფიული კვლევის ინსტიტუტის (მსოფლიოს გამორჩეული პიროვნებების ბიოგრაფიების შემსწავლელი ორგანიზაცია) მიერ ფ. თოდუა საზოგადოების წინაშე კეთილშობილური მიღწევებისთვის აღიარებულია 2003, 2008 და 2011 წლებში „წლის საუკეთესო ადამიანად“. საკანდიდატო დისერტაციის თემა - „ცელომური კისტები, პერიკარდიუმის დივერტიკულები და კარდიო-დიაფრაგმული კუთხის ლიპომები“, დაიცვა 1973 წელს; სადოქტორო დისერტაციის თემა - „ბრონქული სისხლის მიმოქცევის მნიშვნელობა სისხლდენით გართულებული ფილტვის ქრონიკული არასპეციფიური დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში“, დაიცვა 1984 წელს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: 299-00-52; 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge

07/031803137-03

"30" 01 2018 წ.
№ 010107-465/51
თქვ. №

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბ-ნ გ. ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გამოვხატავ რა თქვენდამი ღრმა პატივისცემას, მოგმართავთ თხოვნით ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას (1944 – 2017) ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. თბილისში (დიღომი) გოდერძი ჩოხელის ქუჩის მესამე შესახვევისთვის „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას" სახელის მინიჭების შესახებ. მოგეხსენებათ, რომ აკადემიკოს ფ. თოდუამ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც დღეისათვის სამხრეთ კავკასიაში სამედიცინო კადრებით და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ერთ-ერთი მოწინავე სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრია. სხვადასხვა დროს სათავეში ედგა სამედიცინო აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის კათედრას, საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეზიდენტურის სასწავლო პროგრამას, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიაგნოსტიკური მედიცინის დეპარტამენტს. 2004-2013 წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, 2008-2012 წწ. - საქართველოს პარლამენტის წევრი და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. ფ.თოდუას სხვადასხვა დროს მიღებული აქვს ეროვნული და საერთაშორისო პრემიები მეცნიერების დარგში. დაჯილდოებულია მრავალი სამამულო და საზღვარგარეთის პრესტიჟული ორდენითა და მედლით, სახელდობრ, საქართველოს "ღირსების ორდენით", ანდრია პირველწოდებულის, ვახტანგ გორგასლის, პრეზიდენტის ბრწყინვალების, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გიორგის, მალტის, ევროპის ღირსების, ალბერტ შვაიცერის "ჰუმანიზმისა და ხალხის სამსახურისათვის, მადლიერების ჯვრის ორდენებით, აგრეთვე, გ.მუხაძის, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის, ივ.ჯავახიშვილისა და სხვ. მედლებით. მინიჭებული აქვს ბელგიის სამეფო კარის რაინდის - შევალიეს წოდება. არჩეულია თბილისის საპატიო მოქალაქედ, ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის წევრად, გრაცის (ავსტრია) სამედიცინო

უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, რუსეთის სამედიცინო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. აშშ-ს ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ ორგზის აღიარებული იყო ''წლის საუკეთესო ადამიანად''. ფ.თოდუა მრავალი ასოციაციის, საზოგადოების, ფედერაციისა და ა.შ. საბჭოს წევრი და ხელმძღვანელი იყო, მათ შორის, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის, ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა საზოგადოების, ბრიტანეთის რადიოლოგთა ასოციაციის და ა. შ. წევრი, არაერთი სამედიცინო მიმართულების ჟურნალის რედაქტორი და სარედაქციო საბჭოს წევრი. ფ. თოდუა 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის, 13 მონოგრაფიის) ავტორია, მიღებული აქვს 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა გამოგონებაზე, იყო 200-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე.საყოველთაოდ ცნობილია მისი საქველმოქმედო საქმიანობა. დამერწმუნებით, რომ ასეთი დამსახურების მქონე პიროვნების ღვაწლი უთუოდ იმსახურებს სათანადო დაფასებას.

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში აკადემიკოს ფ. თოდუას განსაკუთრებული დამსახურება და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის #239 დადგენილებით 2015 წლის 1 ივნისს) მე-5 მუხლის შესაბამისად, დააყენოთ საკითხი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე არსებული წესიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე, რათა ქ. თბილისში (დიღომი) გოდერძი ჩოხელის ქუჩის მესამე შესახვევს მიენიჭოს „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას“ სახელი.

ჩვენს მომართვას მხარს უჭერს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაც (იხ. დანართი).

წარმოგიდგენთ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის 2018 წლის 18 იანვრის № 4 დადგენილებას აღნიშნული საკითხის შესახებ (დანართი).

დანართი: 2 გვ.

პატივისცემით

აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. ვეესიტაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია

N 01/103
25/01/2018

103-01-2-201801251116

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

სამეგრელო - ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინადადებას ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ფრიდონ თოდუას (1944 – 2017) ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. თბილისში (დიღომი) გოდერძი ჩოხელის ქუჩის მესამე შესახვევისთვის „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას" სახელის გამონაკლისის წესით ვადაზე ადრე მინიჭების შესახებ. ადმინისტრაცია, თავის მხრივ, შემოდის შუამდგომლობით აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის თაობაზე.

პატივისცემით,

ლევან შონია

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

2100. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი #45

ტელ.: 0 (415) 25 00 04; ფაქსი: 0 (415) 25 05 05

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი
დადგენილება № 4

2018 წლის 18 იანვარი

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელის
უკვდავყოფის შესახებ

მომხსენებელმა, აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ აღნიშნა, რომ გამოჩენილმა მეცნიერმა, მეცნიერების დიდმა ორგანიზატორმა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში მედიცინის დარგის განვითარების, ქვეყნის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და სრულყოფის საქმეში. იგი იყო კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და სიცოცხლის ბოლომდე მისი ხელმძღვანელი. მისი პირადი ინიციატივით განხორციელდა ინსტიტუტში თანამედროვე ონკოლოგიაში სხივური თერაპიისთვის განკუთვნილი ბოლო თაობის - მაღალი ენერგიის სხივური ამაჩქარებლის დანადგარის გამოყენება, ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციების კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ულტრაბგერითი სკანირების კონტროლით დანერგვა და სხვა. წლების მანძილზე (2004-2013) იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცეპრეზიდენტი, 2013 წლიდან - აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 1998 წელს არჩეულ იქნა თბილისის საპატიო მოქალაქედ, 2008 წელს კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა იყო 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 10 მონოგრაფიის ავტორი, მიღებული ჰქონდა 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა გამოგონებაზე.

იგი იყო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის, „ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის", ღირსების ორდენისა და მრავალი საერთაშორისო მედლების კავალერი. დაჯილდოებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, „წმინდა გიორგის ოქროს ორდენით".

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების საერთო კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი წინადადებას თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის მისი სახელის მინიჭების შესახებ.

პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილდეს ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების საერთო კრების თხოვნა და აღიძრას შუამდგომლობა ქ. თბილისის მერიის წინაშე, რათა ქართული სამედიცინო მეცნიერების განვითარების საქმეში აკადემიკოს ფრიდონ თოდუას დამსახურებისა და ღვაწლის აღსანიშნავად ქუჩას (გ.ჩოხელის მე-3 შესახვევი), სადაც მდებარეობს მისი საცხოვრებელი სახლი, ეწოდოს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი
აკადემიკოსი ირ. ჟორდანია

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია

N 01/103
25/01/2018

103-01-2-201801251116

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

სამეგრელო - ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინადადებას ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ფრიდონ თოდუას (1944 – 2017) ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. თბილისში (დიღომი) გოდერძი ჩოხელის ქუჩის მესამე შესახვევისთვის „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას“ სახელის გამონაკლისის წესით ვადაზე ადრე მინიჭების შესახებ. ადმინისტრაცია, თავის მხრივ, შემოდის შუამდგომლობით აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის თაობაზე.

პატივისცემით,

ლევან შონია

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი